გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ქართული თეატრი

კვირას, 30 ოქტომბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**თამარ-ბატონიშვილი**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

**მეორე მოქმედებაში ქ. ჩერქეზიშვილისა და აწყურელი ითამაშებენ ლეკურს.**

II

**დივერტისმენტი**

**მონაწილეობას მიიღებენ:** ბ-ნნი ყიფიანი, გამრეკელი, აწყურელი, დიღმელი; ქ-ნნი მელიქოვისა, თამაროვისა, ჩერქეზიშვილისა და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე

---

ტფილისი, 27 ოქტომბერი

იტალიაში მისვლა მეტად ძნელ და მძიმე საქმედ არის მიჩნეული ხელმწიფეთათვის. მართალია, ხელმწიფეების ერთმანეთის შეხვედრა და ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა ყოველთ უწინარეს ჯერ დიპლომატების გასარიგებელი საქმე ყოფილა ყოველთვის, მაგრამ იტალიაში რომელისამე ხელმწიფის მისვლას ერთი განსაკუთრებითი გარემოება აბრკოლებს. საქმე ის არის, რომ იტალიას დღეს ორი ხელმწიფე ჰყავს, ორნივე ერთსა და იმავე ქალაქში არიან და ერთსა და იმავე ქალაქს თავის სატახტო ქალაქად ჰხადიან. ერთი ამათგანი მეფე ჰუმბერტია, მართალი და ჭეშმარიტი ხელმწიფე იტალიისა, და მეორე-კი არის პაპი ლეონ XIII, რომელიც არ უთმობს ხელმწიფებას, რომში მაინც, ჰუმბერტს, არ სჩადის, ეურჩება დღემდე და ჰჩემობს საეროხელმწიფებას, თუმცა დიდი ხანია ამ საერო ხელმწიფებაზედ ხელი მთლად დააბანინეს.

ეს კიდევ არაფერი, როცა ერთი არხეინად ხელმწიფობს და მეორე კი იმავე დროს იძახის, არა, ხელმწიფე მე ვარო და არავინ-კი უჯერებს. საქმე ის არის, რომ ერთი მართალი ხელმწიფეა, რომელსაც კარგა დიდი ჯარი ჰყავს ხმელეთისა, თუ ზღვისა და შემძლებელია მტერს უმტროს თავისის ღონითა და მოყვარეს უმოყვროს, მეორე კიდევ უპირველესი სასულიერო გვამია, რომელსაც თუმცა ჯარი არა ჰყავს და უთოფ-იარაღოა, მაგრამ მთელის ქვეყნიერობის კეთილ-მორწმუნე კათოლიკენი მისი გულმოდგინე თაყვანის-მცემელნი და მორჩილნი არიან. პაპს, როგორც ერთად-ერთს და უპირველესს მღვდელ-მთავარს კათოლიკეთა სარწმუნოებისას, ყველგან, საცა-კი კათოლიკენი არიან, დიდი გავლენა, დიდი ხმა და სახელი აქვს. ნუ დავივიწყებთ, რომ სხვათა შორის ავსტრია, გერმანია თითქმის სავსენი არიან კათოლიკეთა სარწმუნოების მკვიდრთაგან. აი, ასეთი გარემოებაა თავი და თავი მიზეზი დაბრკოლებისა, როცა იტალიაში წასვლას მოისურვებს ხოლმე რომელიმე ხელმწიფე.

ჯერ კიდევ გერმანიის ეხლანდელ იმპერატორის პაპას ვილჰელმს I ჰსურდა სწვეოდა იტალიის მეფეს ჰუმბერტს, მაგრამ სურვილი ზედ შეელია დიპლომატების მითქმა-მოთქმას მასზედ თუ, — როდის, სად და როგორ მოხდეს ეს მისვლა და ნახვა. სწორედ ესევე ემართება ავსტრიის იმპერატორსაცა, რომელსაც დიდი ხანია ჰმართებს ვიზიტი იტალიის მეფისა და ჯერ ვერ გადაუხდია ზემოხსენებულ გარემოების გამო. ეხლანდელმა იმპერატორმა გერმანიისამ მინამ წასვლა გაჰბედა იტალიაში, ჯერ ცხრაჯერ გაზომინა და აწონინა დიპლომატიას ამ წასვლის ვითარება.

ამ მოკლედ ნათქვამისაგან ცხადია, რად უნდა ემძიმებოდეთ ან ავსტრიის, ან გერმანიის იმპერატორს წასვლა იტალიაში. აშკარაა, გარემოება ასეთია, რომ თუ წავა ვინმე მათგანი იტალიაში, იმ აზრით უნდა წავიდეს, რომ ან არც მწვადი დასწვას, არც შამფური, ან არადა ორში ერთი გასწიროს. შეუძლებელია ამ შემთხვევაში, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფური, შეუძლებელია, რომ ორში ერთი არ გაიწიროს. სხვა რომ არა იყოს-რა, ჯერ ერთი ეს ვკითხოთ, ვის უნდა ეწვივნენ, ვისთან უნდა მივიდნენ იტალიაში ხელმწიფენი? თუ მეფე ჰუმბერტთან, პაპი იწყენს, თუ პაპთან—მეფე ჰუმბერტი. იტყვიან, ორივენი ინახულონო? ძალიან კარგი, მაგრამ რომელი ინახულონ ხელმწიფურის პატივით და რომელი არა. გვირგვინოსანი სტუმარი როგორ მოექცეს ან ერთსა, ან მეორეს? ორსავე ხელმწიფურის პატივით მოექცეს? მაშ ამ შემთხვევაში ორივე ხელმწიფედ უნდა აღიაროს, ისიც, ვინც მართალი ხელმწიფეა და ისიც, ვინც ხელმწიფობას ჰჩემობს. ეს ხომ ორივესათვის ერთ ნაირად საწყენია?

თუნდ ამაებს ყველას თავი დავანებოთ და მარტო ეს ვკითხოთ: რომელს ქალაქში ეწვიონ ჰუმბერტსა? რომში? რომში ხომ პაპიც არის და იძახის, რომი ჩემიაო. მივიდნენ რომში და არ ინახულონ პაპი? ეგ ხომ უკადრისობა იქმნება პაპისათვის და ამას როგორ ჩაიდენენ? მაშ ეწვიონ იტალიის მეფეს სხვა რომელსამე ქალაქში და არა რომში? არც ეს შეიძლება, იმიტომ-რომ იტალიის მეფე იწყენს და იტყვის: რაკი რომს ერიდებით პაპის გამოისობით, მაშ ამ ქალაქს ჩემს სატახტო ქალაქად არა ჰხადითო! მაშ ხელს უწყობთ პაპს დაიჩემოს რომი საკუთრადო!

აი ესენი და ბევრი სხვა ამისთანა მიზეზი უშლიან დღესაც ზოგიერთს ხელმწიფეებს იტალიაში მისვლას ჰუმბერტის სანახავად. ცხადია, რომ ვისაც იქ მისვლა უნდა და ამასთან პაპის ამებაც და ჰუმბერტისაც, სჯობია არ მივიდეს, იმიტომ-რომ აქ ორში ერთია უსათუოდ გასაწირი. ვერც ვილჰელმ I, ვერც ავსტრიის იმპერატორმა ამ ორში ერთის რომელისამე გაწირვა ვერ გაჰბედეს და ამჯობინეს იტალიაში წასვლაზედ ხელი აეღოთ. ხოლო ახალმა იმპერატორმა გერმანიისამ, რაკი ნახა, საჭიროაო იტალიაში წასვლა და ჰუმბერტის პირისპირ ნახვა, არ შეუშინდა იმას, რომ აქ არ შეიძლება ან მწვადი არ დაიწვას, ან შამფური და რომში მისვლითა ორში ერთი ან მეფე ჰუმბერტი, ან პაპი უნდა გაეწირა. უამისობა არ იქნებოდა. რა თქმა უნდა, პაპს გასწირავდა, რადგანაც ულაშქრო, უჯარო, უთოფ-იარაღო პაპი არაფერი ნუგეშია ომში და იტალიის მეფე-კი ამ მხრით დიდი ზურგია გერმანიისათვის.

პაპს რამდენჯერაც ჩამოუგდია იმპერატორ ვილჰელმისათვის ლაპარაკი თავის უნუგეშოდ ყოფნაზედ, იმდენჯერვე იმპერატორს თითქმის ბანზე აუგდია სიტყვა და შორს დაუჭერია. ერთის სიტყვით, პაპს არამც თუ იმედი რამ გამოუტანია გერმანიის იმპერატორის ლაპარაკისაგან, არამედ გული დაუჯერებია, რომ ამისაგან თავის დღეში არა გამოდნება-რა საჩემოდაო. გამწყრალა ამაზედ პაპი და, რასაკვირველია, მახლობელნიც აძლიერებენ ამ წყრომას, რადგანაც ამათაც იმედი მთლად გადასწყვეტიათ გერმანიაზედ. ამბობენ,—წინდახედულს ბისმარკს ეს ამბავი მეტის-მეტად სწყენიაო: პაპი, მართალია, ულაშქრო, უჯარო, უთოფიარაღო სულიერი გვამი ბძანდება, მაგრამ მაინც დიდი ხმა აქვს, დიდი სახელი, დიდი პატივი მთელის ქვეყნიერობის კათოლიკეთა შორის საზოგადოდ და გერმანიაში კერძოდ. თუ გერმანიაში პაპმა მომხრეობა არ გაუწია ეხლანდელის იმპერატორის პოლიტიკას, გზა და კვალი ძალიან აირევა, რადგანაც კათოლიკეთა დასი გერმანიაში კარგა მოზდილი დასია და მორჩილია პაპისა. თ. ბისმარკმა ძალიან კარგად იცის, რა ძალი აქვს პაპის სიტყვას და დარიგებას გერ-

---

# ფელეტონი

## უკანასკნელი გაკვეთილი

მოთხრობა ფლობერისა

(ნათარგმნი)

იმ დილას მე საკმაოდ დამიგვიანდა სკოლაში წასვლა და საშინლად მეშინოდა სასჯელისა, მით უფრო, რომ ბ-ნმა გამელმა ადრევე შეგვატყობინა, გრამატიკის გაკვეთილს გკითხავთო. ერთს წამს გამიელვა აზრმა სრულიად არ წავსულიყავ სკოლაში და გავქცეულიყავ მინდორში.

მართლაც-და მშვენიერი, ბრწყინვალე დღე იყო! ტყის პირას ჰჭიკჭიკებდნენ მოლაღურები და იქვე მახლობლად, სახერხავ ქარხნის ქვევით, პრუსიელები ვარჯიშობდნენ. ყველა ეს უფრო მიზიდავდა და მაცდუნებდა, ვიდრე გრამატიკის კანონები, მაგრამ მაინც თავი შევიმაგრე და სირბილით გავეშურე სკოლისაკენ.

გავიარე რა სამსჯავროსაკენ, მე დავინახე გროვა ხალხისა მოაჯირის წინ, საიდგანაც მოსჩანდა სამსჯავროს განცხადებანი. აქედგან ორის წლის განმავლობაში ჩვენ ვტყობულობდით სხვა-და-სხვა არა-სასიამოვნო ამბავს, ბრძოლის ველზე დამარცხებას, ახალის ხარჯის შემოღებას, პრეფექტების განკარგულებას და სხვას; ამიტომ მე არ გავჩერებულვარ, გავსწიე წინ და თან ვფიქრობდი: „ახალი რა უნდა იყოს-მეთქი?“ იქვე მჭედელმა ვახებერმა, რომელსაც თავისს მუშასთან ერთად ისიც იყო უნდა წაეკითხნა განცხადება, დამინახა თუ არა, რომ მივრბოდი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დამიყვირა:

— ნეტავ რას მირბიხარ? სკოლას კიდევ მოესწრობიო!

ვიფიქრე: მჭედელი იმიტომ მიძახის მეთქი, რომ დამცინოს. ამიტომ მე არც-კი მივიხედე უკან და ჩემს გზას ვადექი, ვიდრე ძალზედ დაქანცულმა ფეხი არ შევსდგი ბ-ნის გამელის პატარა ეზოში.

ჩვეულებრივ დროს სწავლის დაწყებამდე ქუჩაში გაისმოდა ხოლმე მოსწავლეთა საშინელი ხმაურობა და ყვირილი; მოსწავლენი ზეპირობდნენ გასაკვეთს და მხოლოდ მასწავლებელი ჩამოაგდებდა სიჩუმეს, როცა სახაზავით ტაბლაზე დაარახუნებდა. იმედი მქონდა ამ ღრიანცელით ვისარგებლებდი, შევიპარებოდი და დავჯდებოდი ჩემს ადგილზე, მაგრამ ამ დღეს, თითქო განგებ, ყველაფერი მიწყნარებული იყო. გაღებულ ფანჯრიდგან მე დავინახე, რომ ჩემი ამხანაგები უკვე ისხდნენ თავ-თავიანთს ადგილზე და ბ-ნი გამელი ოთახში ბოლთასა სცემდა; სახაზავი-კი იღლიას ქვეშა ჰქონდა. მე უნდა გამეღო კარები და შევსულიყავ კლასში. თქვენ, რასაკვირველია, წარმოიდგენთ, თუ რა რიგად ვთრთოდი ამ დროს შიშისაგან!

მაგრამ ბ-ნი გამელი სრულიად არ განრისხებულა ჩემზედ და წყნარის ხმით მითხრა:

— წადი, დაჯექ შენს ადგილზე, საყვარელო ფრანს, უშენოდ კინაღამ დავიწყეთ სწავლა. მე გადავაბიჯე სკამს და იმ წამსვე დავჯექ ჩემს ადგილზე; მოვითქვი თუ არა ცოტად სული, შევნიშნე, რომ ჩვენს მასწავლებელს სადღესასწაულო მწვანე სერთუკი ეცვა თან და შავის აბრეშუმის ქუდი ჰქონდა. ბ-ნი გამელი ასე იცვამდა და იხურავდა ხოლმე მაშინ, როდესაც ან ინსპექტორს ელოდებოდა და ან როდესაც საჩუქრებს არიგებდნენ. შეუნიშნველად არ დამრჩენია ისიც, რომ კლასში ამ დღეს ყველაფერს რაღაც არა ჩვეულებრივი შეხედულობა ჰქონდა.

შუა დარბაზში სკამებზე, რომლებზედაც სხვა დროს არავინ ისხდა, ეხლა რამდენიმე სოფლის მცხოვრებნი ისხდნენ: მოხუცი გაუზერი თავისის სამკუთხით, წინანდელი მერი, ფოსტალიონად ნამყოფი, და სხვანი. ყველას დაღვრემილი, მწუხარე სახე ჰქონდა. გაუზერს მოეტანა ძველი ანბანის წიგნი, მთლად დაღრღნილი ნაპირებზედ, გაეშალა მუხლზე და შიგ ჩაედვა სქელი სათვალეები. იმ დროს, როდესაც ყველაფერს ამას განცვიფრებით ვათვალიერებდი, ბ-ნი გამელი ავიდა კათედრაზე და იმ დაბალის, ალერსიანის ხმით, როგორითაც მე მომმართა კლასში შემოსვლისას, გვითხრა შემდეგი:

— შვილნო, მე დღეს უკანასკნელად გაძლევთ თქვენ გაკვეთილს. ბერლინიდგან ბრძანება მოვიდა, რომ აწ მხოლოდ გერმანული ენა უნდა ისწავლებოდეს ელზას-ლორენის სკოლებშიო. ახალი მასწავლებელი მოვა ხვალ. დღეს უკანასკნელი ფრანგული გასაკვეთია და ამიტომ გთხოვთ კარგად დამიგდოთ ყური.

ბ-ნის გამელის სიტყვამ მე დიდად ამაღელვა. ჰო, ეხლა-კი მივხვდი, რა განცხადებაც იყო გაკრული-მეთქი სამსჯავროს წინ, ვფიქრობდი მე.

ეს უკანასკნელი ფრანგული გაკვეთილია!.. მე-კი ძლივ-ძლივობით ვსწერდი! მაშ მე ჩემს დღეში ვერ ვისწავლი ფრანგულს ენას. მხოლოდ ეხლა ვნაღვლობდი იმ დაკარგულს დროს, როდესაც, იმის მაგიერ, რომ მესწავლა, სად და სად არ დავრბოდი და ან ფრინველთა ბუდეს ვეძებდი, ან ყინულზედ ვსრიალებდი მთელმთელის საათობით. წიგნები, რომელთა დანახვაც მეზარებოდა ერთის წამის წინ, ჩემი გრამატიკა, საღმრთო ისტორია, მხოლოდ ეხლა-ღა შემიყვარდა. ეხლა ვგრძნობდი, რომ ისინი ჩემი მეგობრები იყვნენ და ის აზრი, რომ ამ მეგობრებს უნდა დავშორებიყავ, მწუხარებაში მაგდებდა. ამასვე ვფიქრობდი ბ-ნის გამელის შესახებ. ის აზრი, რომ გამელს მალე დავშორდებოდი და ღვეის იქით ვეღარა ვნახავდი, მტანჯავდა და მოსვენებას არ მაძლევდა.

საბრალო გამელი! მას ჩაეცვამა თავისი სადღესასწაულო ტანისამოსი ამ უკანასკნელის გასაკვეთის პატივის-საცემლად. ეხლა იმასაც მივხვდი, რად ისხდნენ დარბაზში ჩვენი სოფლის მოხუცნი. იმათ თითქო ის აწუხებდათ, რომ იშვიათი სტუმრები იყვნენ ჩვენის სკოლისა და ამასთანავე თითქო მადლობა უნდა ეძლვნათ მას-

მანიის კათოლიკეებზედ, და ამიტომაც ადვილად მისახვედრია—რადა სწყენია შემოწყრომა პაპისა ეხლა, როცა პრუსიის ლანდტაგისათვის არჩევანებია დანიშნული და გაცხარებული ბრძოლაა დასთა შორის. თქმა არ უნდა, რომ პაპი რომისა არ შეარჩენს გერმანიას თავის ჯავრსა.

ჯერ ეხლაა, როცა იმპერატორი თითქმის ორი დღეა არ არის, რაც დაბრუნდა თავის ქვეყანაში, გაზეთები ამბობენ, რომ პაპი ძალიან მოუტკბილდა საფრანგეთსა და გერმანიის ჯაბრით ჰლამის საფრანგეთთან დაახლოვებასაო. ერთი იტალიის გაზეთი კიდევ იუწყება, ვითომც პაპს ზოგიერთი გავლენიანი ეპისკოპოზები გერმანიისა დაუბარებია რომში დარიგების მისაცემად მასზედ თუ—რაგვარ უნდა იმოქმედონ პაპის საერო მფლობელობის აღსადგენად. ზოგიერთნი წარმომადგენელნი საეკკლესიო დასისანიც მოვლენო გერმანიიდამ რომში, რადა კალად იდვან პრუსიისა და გერმანიის პარლამენტებშიაც მხარი მისცენ ეპისკოპოზების ცდას საერო მფლობელობის აღდგენისათვისაო.

არა გვგონია, ამ ცდამ საერო მფლობელობის აღდგენისათვის თავი დაიჭიროს. ხოლო გერმანიასკი რომ ცოტად თუ ბევრად მოუწამლავს პაპი მოსვენების დღეებსა, ამაში ეჭვი არავის არ უნდა ჰქონდეს. გერმანიაში ბლომად არიან ერთგულნი კათოლიკენი, რომის პაპის თავ-დადებულად მომხრენი. ესენი მაინც ეურჩებიან და ეურჩებიან პრუსიის ბატონობას გერმანიაში და ეხლა თუ ამ ურჩობაში რომის პაპიც წინ წაუძღვება თავისის ლოცვა-კურთხევით, შესაძლოა — გერმანიას იმოდენად აეწეწოს შინაური საქმენი, რომ ამაში გაებას და საკმაოდ ვეღარ მოიცალოს საგარეოთათვის, და მაშასადამე, ვერც ასე თავ-გაზვიადებულად იბატონოს ევროპაში. საფრანგეთი, ჯერ გულ-ნატკენი იტალიის ეხლანდელ სამინისტროსაგან და მერე გერმანიისაგან დღეუყველ უკადრისად ხსენებული, რასაკვირველია, მაგრად ჩაჰკიდებს ხელს პაპის სურვილს საფრანგეთთან დაახლოვებისას და ეცდება ეს ვითარება დღევანდელის დღისა რაც შეიძლება კარგად გამოიყენოს.

შემოწყრომა პაპისა თვალად იქნება ვინმემ არაფრად მიიჩნიოს, მაგრამ მაგ ამბავს გული შიგნიდამა აქვს და შემძლებელია ბევრი უსიამოვნობა და ვნება მიაყენოს ვილჰელმ II და თ. ბისმარკის პოლიტიკას გერმანიაში, სადაც უამისოდაც არა ერთი და ორი მომდურავია ამ პოლიტიკისა. ამ სახით, თუ გერმანიას აქამდე სხვაზე უხაროდა თვალი, რომ შინ საქმეები აშლილი აქვს და ვერ გასძღოლიაო, იქნება დღეის ამას იქით გერმანიაზედაც ესე გაახარონ სხვებმა თვალი.

## ახალი ამბავი

*** 23-ს ოქტომბერს, კვირა დღეს, ტფილისის რეალურს სასწავლებელში წლიური აქტი იყო გამართული. აქტზე დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი, მზრუნველი ბ-ნი კ. პ. იანოვსკი, სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი მ. რ. ზავადსკი და ტფილისის გიმნაზიების დირექტორები ბ-ნნი მორკოვი და ლილოვი, კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარი მღვდელი გუმილევსკი, მაჰმადიანთა მუფთი და შეიხ-ულ-ისლამი და მრავალნი სხვანი წარჩინებულნი კაცნი. ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ ამ წლის პირველ ოქტომბრისათვის 377 მოსწავლე ყოფილა. ამათ შორის თავად-აზნაურთა და მოხელეთა ყმაწვილები—206, ქალაქის მცხოვრებთა—120, დანარჩენები სოფლის წოდებისანი არიან, ჯარის-კაცის შვილები, სამღვდელოებისანი და ექვსიც უცხოელი. გვარტომობით 147 რუსია, 144 სომეხი, 34 ქართველი, გერმანელი—21, პოლონელი—16, თათარი—9, ებრაელი—4 და ბერძენი—2. ქალაქის მცხოვრებთა ყმაწვილები სხვა წოდებისაზე უკეთ სწავლობენ. პირველნი სწავლით არიან სომეხნი და მათ შემდეგ რუსები.

*** 31 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს გამგეობა წარუდგენს თავისს მოხსენებას იმის შესახებ, რომ ქალაქმა იკისროს ქალაქის თეატრის შენობის დასრულებაო.

*** 25 ოქტომბერს პირველი სხდომა ჰქონია ქალაქის კომისიას, რომელმაც უნდა იშოვნოს ადგილი საყასბოსათვის. ამ კომისიამ თავ-მჯდომარედ აირჩია ბ-ნი მ. ს. შაჰ-პარონიანცი და დაადგინა გაზეთების საშუალებით მოიწოდოს ყველა, ვისაც ჰსურს თავისი მამული მიჰყიდოს ქალაქს საყასბოსათვის. ორშაბათს კომისიამ უნდა დაათვალიეროს. ჩითახოვისა და მირზოევის მამულები და ერთი მამულიც ნავთლუღში.

*** 26 ოქტომბერს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას მორიგი სხდომა ჰქონდა. ამ სხდომაზე ბ-ნმა ვიცე-პრეზიდენტმა კრებას მოახსენა, რომ საზოგადოების სამეურნეო სკოლა დაათვალიერა ბ-ნმა მზრუნველმა იანოვსკიმ და შინაგან საქმეთა მინისტრის წარმომადგენელმა ბ-ნმა ტიხეევმა და კმაყოფილნი დარჩნენ სკოლის ვითარებითაო. შემდეგ ვიცე-პრეზიდენტმა საზოგადოებას მოახსენა, რომ მომავალ წელს გვექნება სამეურნეო გამოფენა ტფილისში და ამ გამოფენის რიგიანად გასამართავად უკვე ჰზრუნავს საზოგადოების პრეზიდენტი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვიო.

იმავე კრებაზე ბ-ნმა გეევსკიმ სთქვა, რომ საზოგადოების მუზეის ესაჭიროება რიგსა და წესში მოყვანაო. საზოგადოებამაც შეიწყნარა გეევსკის აზრი და შესაფერი განკარგულება მოახდინა.

ბ-ნმა შავროვმა ცალკე მოხსენება წაიკითხა ვაზის ავადმყოფობაზე. წელს ბ-ნს შავროვს დაუვლია კახეთი, ზაქათალის მაზრა, ნუხისა, ბაქოსი და ერევნის გუბერნია და სხვ. და ყველგან შეუმჩნევია, რომ ნაცარი, მილდიუ და სხ. ავადმყოფობა საშინლად მოსდებია ვენახებს. კახეთში უმეტესად მძვინვარებს ნაცარი, თითქმის ყველგან კახეთს წრევანდელი მოსავალი ყურძნისა გაფუჭდა და მევენახეები ძალიან დაღონებულნი არიანო. საკვირველი ის არისო, რომ ალაზნის ნაპირებისკენ ნაცარი უფრო მოსდებია ვენახებს, ვიდრე მთის ძირობაზედაო. სოფ. რუისპირში ყველა ვენახები საშინლად დაუნაცრავს, გარდა მესხიშვილის ზვრისა, რომელიც მაღლობ ადგილზეა, მთის ფერდობზეა გაშენებული. ზოგიერთი მევენახე სცდილობს შეებრძოლოს ნაცარსა და მილდიუს; გლეხობა-კი იჭვნეულის თვალით უყურებს ვენახის წამლობას. გლეხის აზრით, ვაზის ავადმყოფობა ღვთის ნებაა და ჩვენ რას გავაწყობთო. რადგან ვენახები ამ გვარს ყოფაში ჩაცვივდაო, ბრძანა ბ-ნმა ვერმიშევმა, ეხლავე დაუყოვნებლივ საჭიროაო საზოგადოებამ მცოდნე კაცთაგან დანიშნოს ცალკე კომისია და დაავალოს დაწვრილებით გამოიკვლიონ, თუ რა წესითა და რა საშუალებით შეიძლება ბრძოლა ვაზის ავადმყოფობასთან. კომისიის დანიშვნა საზოგადოებამ გადასდო 6 გიორგობისთვისათვის, როდესაც შემდეგი მორიგი სხდომა ექნება.

*** სოფ. არბოს (გორის მაზრაშია) წმ. გიორგის ეკკლესია დიდ-ძალს მლოცველებს იზიდავს და ამიტომ ახალის ტაძრის აშენება განიზრახეს. ამ ტაძრის აგება დიდი ხანია დაიწყეს, მაგრამ დღემდე დასრულებული არ არის. ეხლა, როგორც შევიტყვეთ, ერთმა არბოელმა მემამულემ, ბ-ნმა დურმიშხან ჟურულმა, მიჰმართა მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას და სთხოვა ვინმე გაეგზავნა არბოს ეკკლესიის გასასინჯავად, რათა იმ ფულით, რომელიც ეკკლესიასა აქვს გადადებული, ეკკლესია როგორმე დაასრულონო. ამ თხოვნისამებრ მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას მიუნდვია ეს საქმე მისს ყოვლად უსამღვდელოესობის ეპისკოპოზ ალექსანდრესათვის, რომელიც უკვე წაბრძანებულა არბოს ეკკლესიის დასათვალიერებლად 27 ამ თვეისას. ალექსანდრე ეპისკოპოზს თან ახლავს არხიმანდრიტი ნიკოლოზი.

*** სოფ. მარწებიდგან (გორის მაზრაშია) გვწერენ: წელს ყველა მხრიდგან ჩივიან ღვინის ცუდსა და ნაკლებს მოსავალს. ჩვენი პატარა სოფელი-კი ასცილდა ამ განსაცდელს და წელს ღვინის მოსავლით სჯობნის სხვა სოფლებს. ჩვენი სოფელი არასოდეს არა ყოფილა განთქმული ღვინით; ღვინო ყოველთვის მჟავე დგებოდა და ძალიან ნაკლებად მოდიოდა. ჩვენი სიმდიდრე პური იყო. წელს-კი ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად ყურძენი მშვენივრად დამწიფდა და იმდენი ღვინო მოგვივიდა, რომ უჭურჭლობის გამო იძულებულნი ვართ ტკბილი ვყიდოთ 4—5 მანეთად მაშინ, როდესაც სხვაგან 10—12 მანეთად იყიდება. ამ ჩვენის გაჭირებით ხელი ძალიან მოითბეს ცხინვალის ვაჭრებმა.

*** როცა ხელმწიფე იმპერატორი ქუთაისში ბრძანდებოდა, შავის ქვის მადნების პატრონებს და მათთან ერთად თავად-აზნაურობის მარშალს თხოვნა მიურთმევიათ მისს უდიდებულესობისათვის. შავის ქვის მადნების პატრონები ითხოვენ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზამ რკინის გზის შტო გაიყვანოს ჭიათურამდე და არა კერძო კაცებმაო; ეს კერძო კაცები შესაძლოა უცხოელნი იყვნენო და ამიტომ შავის ქვის მზრუნველობა უცხოელთა ხელში გადავაო. ეს თხოვნა მიიღო გენერალ ადიუტანტმა რიხტერმა, იმ კომისიის გამგებელმა, რომელიც იღებს უმაღლესს სახელობაზე მირთმეულს არზებს. კავკასიის მთავარ-მართებელმა თავადმა დონდუკოვ-კორსაკოვმა მხარი მისცა ამ თხოვნას. ბ-ნმა რიხტერმა გამოუცხადა ბ-ნს მარშალს, რომ მე თითონ ვეცდები მემამულეთა ხელი მოვუმართო და ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ იმა-

---

წავლებლისათვის, რომელიც ორმოცის წლის განმავლობაში სინიდისიერადა და ერთგულად ემსახურებოდა. იმ მოხუცთ ჰსურდათ უკანასკნელად მადლობა მიეძღვნათ სამშობლოსათვის, რომელსაც უნდა გამოსალმებოდნენ. ამ ფიქრებში ვიყავი, როდესაც შემომესმა, რომ მეძახოდნენ, ჩემი ჯერი იყო და გაკვეთილი უნდა მიმეგო მასწავლებლისათვის, ოჰ, ნეტავი შემძლებოდა ხმა-მაღლა, გარკვევითა და უცდომელად მეპასუხნა გრამატიკის გაკვეთი, მაგრამ მე პირველ სიტყვეზევე აზრი ამერია; რაღაცამ სული და გული სულ ერთიანად შემიბოჭა, ხან ერთს მხარეზე ვიზნიქებოდა და ხან მეორეზე და სირცხვილისა გამო ვერა ვბედავდი თავის მაღლა აწევას. ბ-ნის გამელის ხმამ გონს მომიყვანა.

—მე შენ არ დაგტუქსავ, ჩემო პატარა ფრანს, მეუბნებოდა იგი: შენ საკმაოდ დასჯილი ხარ... ჩვენ ყოველ დღე ვიმეორებთ: მე კიდევ დრო მაქვს, ხვალ ვისწავლიო. ეხლა-კი ხომ ჰხედავ, რა ბედი გვეწვია. ჩვენის ელზასის უბედურება ის არის, რომ განათლებას ყოველთვის სახვალიოდ სტოვებდა. ეხლა იმ ადამიანებს თამამად შეუძლიანთ გვითხრან: „როგორ, თქვენ ფრანგებად ჰრაცხდით თქვენს თავს და არ იცით-კი არც წერა და არც ლაპარაკი თქვენს ენაზედაო!.. მაგრამ შენ არა ხარ დამნაშავე ამაში, ჩემო საბრალო ფრანს! ჩვენ ყველას საკმარისი საბუთი გვაქვს ჩვენს თავს ვუსაყვედუროთ. თქვენი მშობლები არა ჰზრუნავდნენ თქვენის სწავლა-განათლებისათვის. ისინი უფრო მეტის სიხარულით გგზავნიდნენ თქვენ მინდორში, ან ფაბრიკაში, ვიდრე სკოლაში. განა მე თითონ-კი არა ვარ გასაკიცხი? განა მე არ გარწყვევინებდით ჩემს ბაღს იმის მაგიერ, რომ მესწავლებინა? ან როდესაც თევზების ჭერა მომესურვებოდა, განა მე არ გისტუმრებდით სკოლიდგან?..

გამელი გადადიოდა ერთის საგნიდგან მეორეზედ. სხვათა შორის ილაპარაკა ფრანგულის ენის შესახებ და გვიმტკიცებდა, რომ ეს ენა მთელს დედამიწაზედ ყველაზედ უკეთესიაო. გვეუბნებოდა, რომ ამ ენაზედ უნდა ილაპარაკოთ ერთმანეთს შორის და არას დროს არ უნდა დაივიწყოთო... შემდეგ იმან აიღო გრამატიკა და წაგვიკითხა ჩვენი გაკვეთილი. მე მიკვირდა, რომ მაშინ ყველაფერი ასე კარგად მესმოდა. ყველაფერი, რასაც იგი ამბობდა, ადვილად, მარტივად გასაგები მეჩვენებოდა. არას დროს არ მიგდია ყური ისეთის გულ-მოდგინებით, არას დროს იმასაც ის დინჯად და გარკვევით არ აუხსნია ჩვენთვის გაკვეთი. ეტყობოდა, რომ გამელს, ვიდრე მოგვშორდებოდა, უნდოდა მთელი თავისი ცოდნა ჩვენთვის გადმოეცა, უნდოდა, რომ ყველაფერი ერთბაშად გვესწავლა.

გრამატიკის გაკვეთილს შემდეგ დავიწყეთ წერა. ამ დღისათვის გამელს დაემზადებინა ლამაზი დედნები; ამ დედნებში ლამაზის, მრგვალის ხელით დაწერილი იყო: საფრანგეთი, ელზასი, საფრანგეთი, ელზასი. დედნები კედელზე იყო მიკრული დროშების მსგავსად. ადამიანს გაუკვირდებოდა, რომ ენახა, თუ როგორ ჰბეჯითობდა ყოველი ჩვენგანი და როგორი მყუდროება ჰსუფევდა კლასში. მხოლოდ კალმების წრიპინი-ღა გაისმოდა. დრო-გამოშვებით შემოჰფრინდებოდნენ ფანჯარაში მაისის ბუზანკალები, მაგრამ არავინ არ აქცევდა იმათ ყურადღებას; თვით პატარა ბავშვებსაც-კი ისე ლამაზად და სინიდისიერად გამოჰყავდათ ხაზები ქაღალდზე, რომ გეგონებოდათ ფრანგული ასოებიაო.

სახლის ერდოზედ დაბლად ჰღუღუნებდნენ მტრედები და მე, დავუგდე რა ყური, ვეკითხებოდი ჩემს თავს: იმათაც ხომ არ დააწყებინებენ გერმანულად გალობასა-მეთქი? ხანდახან, როდესაც თავს მაღლა ავსწევდი, ვხედავდი, რომ გამელი იდგა უძრავად ერთს ადგილს და გარშემო ყველაფერს გაშტერებით უმზერდა, თითქო უნდოდა თან წაეღო მთელი თავისი პატარა სკოლა. მართლაც, წარმოიდგინეთ: ორმოცი წელი დაჰყო იმან აქ, ერთს ადგილას, და ერთსა და იმავე საქმეს ასრულებდა. ამ ორმოცის წლის განმავლობაში მოსწავლეთა სკამები გაცვდა, ეზოში მოშენდა კაკლის ხეები, სვია, რომელიც იმან თავისის ხელით დარგო და რომელიც ეხლა გარს შემოჰხვეოდა ფანჯარას სახურავამდე; ძლიერ სწუხდა საბრალო მოხუცი, რომ ჰშორდებოდა აქაურობას და ერთს წამს მაინც ჰსურდა დაევიწყნა, რომ უნდა წასულიყო, მაგრამ იმისის დის ფეხის ხმა, რომელიც უკვე ემზადებოდა სამგზავროდ, ყოველს წამს აგონებდა წასვლის დროს. ისინი უნდა წასულიყვნენ მეორე დღესვე და სამუდამოდ მოჰშორებოდნენ სამშობლო მხარეს.

მიუხედავად ამისა იგი განუწყვეტლივ გვასწავლიდა. წერას შემდეგ ჩვენ ისტორიის გაკვეთილი გვქონდა; შემდეგ პატარა ბავშვებმა იმღერეს ხოროთი ჩვეულებრივი ბა, ბე, ბი, ბო, ბუ. შუა დარბაზში მოხუც გაუზერს დაედვა ცხვირზედ სათვალეები და ისე ბეჯითად ჰკითხულობდა ანბანს, თითქო ათის წლის ბავშვი იყოსო; მღელვარებისაგან ხმა ისე უკანკალებდა, რომ ცრემლებსა გვგვრიდა. მე ჩემს დღეში არ დავივიწყებ იმ უკანასკნელს გაკვეთილს...

უეცრივ საყდრის საათმა შუადღე დაჰკრა. იმ წამსვე პრუსიელებმა, რომელთაც გაეთავებინათ ვარჯიშობა, საყვირი დაუკრეს ჩვენის ფანჯრების წინ... ბ-ნი გამელი გაფითრებული იდგა კათედრაზე. არას დროს არ მინახავს იგი ასე მაღალი...

— ჩემნო მეგობარნო, დაიწყო იმან: ჩემო პატარა მეგობრებო, მე... მე...

მაგრამ სული ეგუბებოდა და ენა ვერ დასძრა.

მაშინ იგი მიიწია დაფისაკენ, აიღო ცარცი, ჩასჭიდა ხელი რაც ძალი და ღონე ჰქონდა და დიდის ასოებით დასწერა: „გაუმარჯოს საფრანგეთს!“ შემდეგ გაჩერდა უძრავად, მიეყრდნო თავით კედელს და მეტი ხმა აღარ ამოუღია, ხოლო ხელით გვანიშნა:

— გათავდა... წადითო...

წგრ. გმ—ანი

თი კანონიერი თხოვნა შეწყნარებულ იქმნასო („Н. Обоз.“)

## გადასინჯვა კონსტიტუციისა საფრანგეთში.

### IV *)

აი რას ამბობდა ლაბულე 1875 წლის კონსტიტუციაზე: „რესპუბლიკელებმა გულის ტკენით შეიწყნარეს ის კონსტიტუცია, რადგან მეტი ღონე არ იყო, უნდა დაეთმოთ რამე მონარქიელებისათვის ბევრი რამ დასთმეს კიდეც, დასთმეს მამულისა და სამშობლოს სიყვარულის გამო; დასთმეს იმიტომ-რომ ჰგრძნობდნენ, რა დიდი საჭიროებაც იყო თანხმობით მოქმედება, ერთგულობა და ერთსულობა იმ ერისათვის, რომელიც იმდენს ხანს იტანჯა და იწამა ომის გამო, რომელმაც იმდენს ხანს ივაგლახა რევოლიუციების მიზეზით... რევოლიუციებმა ის ჭკუა გვასწავლეს, რომ დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს ერს თვით კონსტიტუციისა. ჩვენ მიერ შეწყნარებული კონსტიტუცია, რასაკვირველია, სიკეთით სავსე და სრული არ არის, მაგრამ ეს ღირსება მაინცა აქვს, რომ ქვეყანას თავისუფალის მართვის წესს მიანიჭებს. თუ საფრანგეთი, რომელსაც ამ კონსტიტუციით თავისი მთავარი უფლებანი და უძვირფასესი ინტერესები საზრუნველი აღარ ექმნება, სიყვარულითა და პატივისცემით მოეკიდება თვით-მართველობის საქმეს, კონსტიტუციასაც ნელნელა განაკარგებს. იმისი შეცვლა გასაჭირი არ იქნება, ხოლო, უკეთუ რესპუბლიკამ შეაშინა ქვეყანა, მაშინ ტყუილია ყოველ გვარი კონსტიტუცია. ვერა ნაირი კონსტიტუცია ველარ დაიხსნის ამ შემთხვევაში იმ წეს-წყობილებას, რომელსაც საზოგადოების თანაგრძნობა აღარ ექმნება. ჩვენ ის მოვახერხეთ, რის მოხერხების ნებაც მოგვცა გარემოებამ; ამაზე მეტი არც მოეთხოვება კანონმდებელს. ჩვენ ჩვენი საქმე გავათავეთ, დანარჩენს თვით საფრანგეთი გააკეთებს რესპუბლიკის დასამტკიცებლად საჭიროა კეთილ გონიერება მოიხმაროს მთავრობამ, სიბრძნე გამოიჩინონ, ვინც ჩვენ შემდეგ ილვაწებენ, მამულის სიყვარული არ მოაკლდეთ ჩვენს თანამემამულეებს. ყოველისავე ამისი იმედი გვაქვს და ამიტომ, ძრიელაც რომ ეწყინოთ იმათ, ვისაც იმედი აქვს ჩვენის უთანხმოებისა, ჩვენ გვწამს, რომ უკეთესი დრო დაგვიდგება და უკეთესი მერმისიც მოგველის“.

გამბეტამ სთქვა მაშინ ამავე საგანზე: „შედეგი უფრო კარგი მოჰყვა ჩვენს ცდასა და მუშაობას, ვიდრე მოველოდდით იმ გარემოებათა გამო, რომელიც გარს გვეხვია. თუ დავისაკუთრებთ ამ შედეგს, ჩვენს ღვიძლს შვილად მივიჩნევთ, კარგად დავაკვირდებით და შევისწავლით, ადვილად შესაძლებია, რომ ეს კონსტიტუცია ჩვენის დემოკრატიისათვის უკეთესი იარაღი იყოს წარსამატებლადა და სრულიად განსათავისუფლებლად“.

მართლაც, თუ კაცი ჩაუკვირდება 1875 წლის კონსტიტუციას და შეადარებს სხვა წინანდელებს, შეუძლებელია უპირატესობა არ მისცეს ამ ახალს იმ სხვათა წინაშე. წინანდელ კონსტიტუციების უბედურება ის იყო, რომ იმათ შემდგენელთ უნდოდათ სრული და უნაკლულო რამ შეედგინათ, რომ იმ კონსტიტუციებში ყოველივე წინდაწინვე ყოფილიყო განჭვრეტილი და განსაზღვრული. მესამე რესპუბლიკის კონსტიტუცია-კი მოკლეა, ყოვლად სისრულეს არა სჩემობს და ნებას აძლევს ცხოვრებას ჩაურთოს შიგ ის, რაც ნაკლი აღმოჩნდება გამოცდილებით; ისიც უნდა ვსთქვათ ამ კონსტიტუციის საქებრად, რომ მან არ წაჰბაძა წინანდელებს და ერთის სიტყვითაც არ მოიხსენია საზოგადო „უფლებანი კაცისა და მოქალაქისანი“. ამითი მოიშორა თავიდამ ის განყენებული, ურომელო აზრები და სადაო პრინციპები, რომელთაც იმდენი შფოთი და დაიდარაბა ასტეხეს დასთა შორის 1789 წლიდამვე. 1875 წლის კონსტიტუციამ სთქვა მხოლოდ ის, რაც აუცილებლად საჭირო იყო ქვეყნის მართვისათვის.

ამ კონსტიტუციის წყალობით საფრანგეთში მკვიდრად დამყარდა ის წესი მართვისა, რომელიც ამსგავსებს ინგლისს, ამ ქვეყანას განთქმულის თავისუფლებისას. მე სახეში მაქვს ის გარემოება, რომელსაც ეძახიან ქვეყნის მართვას კაბინეტის მიერ. კაბინეტია კრებული მინისტრებისა, რომელთაც ჰნიშნავს უფროსი სახელმწიფოსი, ხოლო დამოკიდებულნი არიან პარლამენტზე და განაგებენ ქვეყნის საქმეებს ერთ-ერთის თვიანთის ამხანაგის ხელმძღვანელობითა. მისთვის საჭიროა დახმარება ორთავე პალატასი. თუ ეს დახმარება მოაკლდა, სამსახურს თავს ანებებს. ვსთქვათ, ზედა პალატა რომ დაემდუროს კიდეც კაბინეტს, კაბინეტი არ გადადგება სამსახურიდამ. ხოლო თუ ქვედა პალატამ ხმის უმეტესობით დაიწუნა მისი პოლიტიკა, მაშინ ან უნდა სამსახურიდამ გადადგეს, ან უნდა სთხოვოს სახელმწიფოს უფროსს, რომ დაითხოვე ეს პალატა და ახლად დანიშნე არჩევანებიო. ამას მაშინ გაჰბედავს მხოლოდ კაბინეტი, როცა დარწმუნებულია, რომ ის პალატა ქვეყნის ჭეშმარიტ სურვილთა წარმომადგენელი არ არის და როცა იმედი აქვს, რომ ახალის არჩევანებით ისეთი პალატა შესდგება, რომელიც იმისკენ იქნება.

ცხადია, რომ ასეთის წესის გამო ერის სურვილი უფრო სავსებით გამოითქმის. ერი ირჩევს დეპუტატებს, ხოლო დეპუტატები ირჩევენ მთავრობას, მართალია, არა de jure, მაგრამ de facto-კი უსათუოდ, ამიტომ— რომ უფროსი სახელმწიფოსი ვერ მოიწვევს მინისტრებად ისეთებს, ვინც არ ესიამოვნება პალატის უმრავლესობას. ყოველ საპარლამენტო გაჭირებისა და კრიზისების დროს გარდამწყვეტი საქმისა ბოლოსა და ბოლოს მაინც ამომრჩეველები არიან, ესე იგი მკვიდრნი ქვეყნისანი, ერი.

ამ სახით უმთავრესი როლი მესამე რესპუბლიკის აგებულებაში დეპუტატთა პალატას ეკუთვნის. როლი სენატისა და პრეზიდენტისა უფრო მცირეა, თუმცა-კი ფრიად საჭირო: ერთიცა და მეორეც ანელებს, აზომიერებს იმასს ძალას, ვისაც უმთავრესი საქმე აქვს აგებულებაში. სენატი ზედამხედველია და თვალ-ყურის მდევნელი კანონ-მდებლობისა და თვითვე იღებს მონაწილეობას ამ კანონ-მდებლობაში; პრეზიდენტი ადგენს აღმასრულებელს მთავრობას; ორთავენი-კი ერთად შემძლებელნი არიან დაითხოვონ დეპუტატთა პალატა. ეს შემძლებლობა მათი სრულიად საშიში არ არის თავისუფლებისათვის; პირ-იქით, კარგია მით რომ გაჭირებაში ამ შემძლებლობის მეოხებით საქმემ უნდა იაროს და მაინც ქვეყნის წინაშე წარსდგეს განსაკითხველად.

1875 წლის კონსტიტუციით შეუძლებელია თითქმის მოხდეს ისეთი რამ, რამაც დაჰღუპა კონსტიტუციები 1791 და 1848 წლებისანი. ამ კონსტიტუციით არც ერთს ორგანოს სახელმწიფოსას არ შეუძლიან სხვის საზიანოდ იმოქმედოს და ან სხვის აზრსა და სურვილს ყური მოუყრუოს. დეპუტატთა პალატამ რომ მოინდომოს, ვსთქვათ, კონვენტისაებრ, სულ თვით ჩაიგდოს ხელში ყოველი უფლებანი, ან მოიწადინოს დამღუპველის კანონების შემოღება, სენატი წინააღმდეგობას გაუწევს და უარ-ჰყოფს იმისს რჩევას, ან მოურიგდება პრეზიდენტს და ორივენი ერთად დაითხოვენ ასეთს პალატას. თუ სენატი მოინდომებდა რასმე საზარალოს, ვერაფერს ვერ მოახერხებდა, იმიტომ-რომ კაბინეტი იმაზე არ არის დამოკიდებული.

არც პრეზიდენტს შეუძლიან თვითნებობით მოიქცეს, იმიტომ-რომ მინისტრებს შეუძლიანთ მაშინ ხელი არ მოაწერონ მის მიერ გამოსაცემს ოქმებსა და სიგელებს. ხოლო პალატას შეუძლიან უარი უთხრას და ფული არ გადასდოს იმისთვის, რასაც ის მოინდომებს საზარალოსა და მავნებელსა; ვერც სასტიკად მოექცევა ამისათვის და ვერც არაფერს მოუხერხებს, იმიტომ რომ იმის დასათხოვნელადა და დასაშლელად უთუოდ სენატის თანხმობაა საჭირო, მით უმეტეს, რომ თითონვე ვადით არის არჩეული.

თვრამეტი წელიწადია ჰმოქმედობს ეს კონსტიტუცია. ამ ხანმა დაამტკიცა, რა ღირსებაცა აქვს 1875 წლის კონსტიტუციას. იმან შეაძლებინა მშვიდობით გადარჩენოდა ქვეყანა 1877 წლის გაჭირებასა, როცა მონარქიის აღდგენას ისეთის სიხარულით მოელოდნენ სამონარქიო დასნი. თუმცა მაშინ მაკ-მაჰონმა დაითანხმა სენატი, რომ პალატა დეპუტატებისა დაეთხოვათო, მაგრამ რესპუბლიკა მაინც გადარჩა ფათერაკს: ახალს არჩევანებზე ერმა ისეთი წარმომადგენელნი აირჩია, რომელთაც დიდი სარესპუბლიკო უმრავლესობა შეადგინეს. მეტი ღონე არ იყო, პრეზიდენტსაცა და სენატსაც თავი უნდა მოედრიკათ ერის სურვილის წინაშე

ამ თვრამეტმა წელმავე დაამტკიცა, რომ 1875 წლის კონსტიტუცია სრულიად არაფერს არ უშლის, თუ არ ჰშველის, წინ სვლასა და წარმატებას საზოგადოისა და საპოლიტიკო ცხოვრებისას. 1875 წელს ა. ნაკემ, ერთმა მეთაურმა კაცმა რადიკალებისამ, დღეს, სამწუხაროდ, ბულანჟეს დასში გადასულმა, 14 მუხლი წარმოადგინა სასურველის რეფორმებისა. ამ 14 მუხლში 6 უკვე აღსრულებულ იქმნა სრულად და 3 თითქმის განხორციელებულია ცხოვრებაში.

თუმცა ყოველივე ეს ასეა, ამ ბოლოს დროს მაინც ძალიან დაუწყეს სამდურავი 1875 წლის კონსტიტუციას და თხოულობენ, რომ ძირეულად გადაისინჯოს ეგ კონსტიტუციაო. ეს სამდურავი უფრო რადიკალთა დასებისაგან ისმის, ხოლო ამ უკანასკნელს ხანში-კი მონარქიელთა დასთაგანაც. მიზეზი სამდურავისა ორთავეს სხვადასხვა აქვს: პირველნი, ესე იგი რადიკალთა დასნი, დღევანდელის წესის განკარგებას სცდილობენ, ხოლო მეორენი—მის დამხობას. ვის გაუმართლდება იმედი და შეუსრულდება სურვილი, ამას მერმისი გვეტყვის.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ №№ 221, 222, 223 224 და 225.

## რუსეთი

გაზეთებში კიდევ რამდენიმე წელიწადია მოხსენებული სამეფო მატარებლის უბედურებისა. რკინის გზის სადგურ ბორკიდგან „Моск. Вѣд.“-ის სწერენ სხვათა შორის: „ვაგონები დამსხვრეულია: პირველი ბარგის ვაგონი, მოსამსახურეებისა, სამზარეულო, სასადილო ვაგონი და ყმაწვილების საწოლი ვაგონი; დაზიანებულია ძალიან ვაგონი ხელმწიფე იმპერატრიცისა და აგრეთვე მემკვიდრე ცესარევიჩისა. ის ვაგონი, რომელშიაც სამზარეულო იყო, ქვემოდ, დაღმართზე გადავარდნილა; მინისტრთა ვაგონის ჰერი გადავარდნილია ტბისაკენ. ის ადგილი, სადაც ეს უბედურება დატრიალდა, სადგურიდგან შვიდს ვერსზეა. გზა კვლავ განკარგებულია და ხალხის მატარებელი დადის. აქვეა პროკურორი, საგანგებო საქმეთა გამომძიებელი და დარაჯი. გამოძიების დასრულებას ელიან, რომ მატარებლის ნამტვრევ-ნამსხვრევები აჰკრიფონ. ორი ორთქლით-მავალი თვლებით მიწაშია ჩაჭდეული და გვერდზე გადახრილი“.

„Гражданинъ“-სა სწერენ: ერთი ორთქლით-მავალი მიწაშია ჩაჭდეული, მეორე დამტვრეული; ოთხი წინა ვაგონი სულ ნაჭერ-ნაჭერად არის ქცეული. მატარებელი საათში 65 ვერსს გარბოდა თურმე. უბედურების მიზეზი ჯერ გამოკვლეული არ არის; ამბობენ, რომ ორთქლით მავალს არ შეეძლო ამ გვარის სისწრაფით სიარულიაო. იმ ადგილზე, სადაც უბედურება მოხდა, დიდი დაღმართი და დაქანებული ადგილია. ამისთანა ადგილს ისეთის სისწრაფით სიარულს ან ფოლადის ლიანდაგი უნდა გაეტეხნა და ან ორთქლით-მავალი დაეზიანებინა. წინ უმეტესად მოთავსებული იყო მოსამსახურეთა ვაგონი, სამზარეულო ვაგონი, ამალის ვაგონები და სასადილო ვაგონი. მთელი ამალა სასადილო ვაგონში ისხდა; ნაშუადღევის მეორე საათი იყო; მარტო ერთი ბარონი ბერნვალი, უმთავრესი ინსპექტორი, იჯდა წინა ვაგონში და ძალიან დაშავებულია; მინისტრი პოსიეტი სასადილო ოთახში იყო. იმ ადგილას ისეთი ძლიერი რყევა მოხდა, რომ ნატკენია ოდნავ სამხედრო მინისტრი, გენერალი ჩერევინი და ფლიგელ-ადიუტანტი შერემეტიევი. სადამოზედ დიდებულნი სტუმარნი ჩასხდნენ ახლად მოსულს მატარებელში და გარს შემოუარეს, წაბრძანდნენ ელიზავეტგრადისაკენ, ასე რომ სამეფო მატარებელმა 600 ვერსი მეტი გაიარა“.

„Новое Вр.“-ია ამბობს, რომ უბედურების მიზეზი გაფუჭებული ლიანდაგი უნდა იყოს, რომელიც დროზედ ვერ შეუმჩნევიათო. საქმის გამოსაძიებლად უკვე წავიდა სენატის ობერ-პროკურორი კონი, იუსტიციის მინისტრის მიერ გამოგზავნილი. ტეხნიკურად გამოძიება საქმისა მინდობილი აქვს უმთავრესს ინსპექტორს რკინის გზისას ვერხოვსკის.

## წვრილი ამბები

პარიჟში ძალიანა კითხულობენ და უკვე იძულებულს იყვნენ რამდენჯერმე დაებეჭდათ რომანი პოლ ერვიესი (Hervieu) „გარეშე საქმეთა სამინისტროში“. ეს რომანი ყველასათვის საყურადღებოა, რადგან მკაფიოდ აღნიშნავს „სადიპლომატიო მოხელეთა“ ზნე-ჩვეულებას, იმ მოხელეთა, რომელთა შორის ბევრი შეიქმნება ხოლმე „ნამდვილი დიპლომატი“ და ქვეყნის ბედის წაღმა-უკუღმა გადატრიალების უფლებას ხელში ჩაიგდებს.

რომანის გმირია არნოლდ სიგო დე-ბრეტვილი, რომელიც ჰმსახურობს სამინისტროში მდივნად. იგი მოიჯარადრეს შვილია და ნამდვილი გვარი უბრალო სიგო აქვს, ხოლო რადგან გარეშე საქმეთა სამინისტრო არისტოკრატებით სავსეა, იგიც იძულებულ შეიქნა მიემატებინა თავისათვის ახალი გვარი: დე-ბრეტვილი. ეს სახელი წარმოსდგა ერთის მამულიდგან, რომელიც იმისმა მშობლებმა, გგონებ, შეიძინეს და ან უნდოდათ შეეძინათ ნორმანდიაში.

ორის საათს სწორედ ერთი რუბი აკლდა, რომ, ჩვეულებისამებრ, გმირი მივიდა სამსახურად სამინისტროში. იგი მორთულია მოდისამებრ: ვიწრო უჯრა შარვალი აცვია, შავი სერთუკი, და ხელში თავისის ფეხების სისხო ჯოხი უჭავია. ახალგაზრდა დიპლომატს საძაგელი ჩვეულება აქვს, მონოკლს—ცალს სათვალეს იკეთებს, როცა უნდა ვისმე თავი მოაწონოს. ხოლო, საუბედუროდ, სწორედ მაშინ არის არ-მოსაწონი, როცა მონოკლს იკეთებს. ავტორის სიტყვით, ამ დროს უფერო და იშვიათი წარბი ყვლხზე შეუდგება, დუნე კანი ლაწვისა ეჭმუჭნება, სათვალეს ქვეშ მოქცეული თვალი შეშინებულს და ან განრისხებულს უგავს და სულელურად გადმობულის პირიდგან-კი უჩანს ხოლმე ჩაშავებული, ადრე და მალე გაფუჭებული კბილები. ავტორი, როგორც ჰხედავთ, არ აქებს და არ ამკობს თავისს გმირს.

დიპლომატი შედის ოთხ-კუთხ შებოლილს ოთახში—კანცელარიაში. ოთახში სდგას წიგნებით სავსე შკაფები, ჩალის სკამები და დიდრონი სტოლები, მწვანე მაუდით გადაფარებული; მაუდი მელანშია ამოთუთხნულ-ამოგანგლული. ბუხარზედ ვიღასიც ქუდი დევს. ზანდუკზე აწყვია თორმეტამდე ფინჯანი და სათამაშო ქაღალდი. იქვე არეულ-დარეულია მთელი ბღუჯა ქაღალდებისა. ოთახი აავსო თამბაქოს ბოლმა. საზოგადოდ, ოთახს სამიკიტნოს ფერი და იერი ადევს.

როცა გმირი შევიდა კანცელარიაში, იქ უკვე იჯდა განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ტაიო-შარვენი, რომელსაც კეთილ-ხმოვანებისათვის თავისი გვარი შეედგინა ორის—დედის და მამის გვარისაგან. ამ შარვენზე სამინისტროში დადის ხმა, რომ თუ იგი დიდს ადგილებს იჭერს ხოლმე და სამსახურში წინ მიდის, სულ ცოლის წყალობით არისო.

სალამი მისცა დე-ბრეტვილმა თავისს უფროსს, შემდეგ თავისი ალაგი გაანთავისუფლა შეჯგუფულ ქაღალდის ნაჭრებისაგან, მივიდა შკაფთან და გააღო ის უჯრა, რომელზედაც ეწერა: „საიდუმლონი საქმენი“. ამოიღო ნარდი, რომელზედაც ორი თეთრი კამათელი ჰგორავდა, და მიუბრუნდა უფროსს:

— არა გნებავსთ, რომ ერთი თალია ვითამაშოთ, საყვარელო ტაიო-შარვენო?

— ერთს წუთს დამაცადეთ, — უპასუხებს თანამოსაუბრე: — და თქვენი მორჩილი მონა-მოსამსახურე გახლდებით. მხოლოდ მარჯვენა ხელზედ დამრჩა ფრჩხილების მოჭრა და ეს-კი ცოტა მნელია, თუ ცაცია არ არის ადამიანი...

შემდეგ დაიწყეს ნარდის თამაშობა და გააბეს ლაპარაკი. დე-ბრეტვილი მოუთხრობს, რომ გუშინ ბალში ერთს ჩემს სასწავლებლის ამხანაგს შევხვდი, რომელმაც თავისი მეუღლე გამაცნოვო. განყოფილების უფროსი წამოცოცხლდება და ყურადღებით უსმენს. დე-ბრეტვილი აწერს ქ-ნს ტურტელენს და დიდის ხელოვნებითაც აწერს. განსაკუთრებით ქალის ტუჩები მოსწონს: წითელი და მერე როგორი წითელი ტუჩები! მეტადრე მოსაწონია ის, რომ ქ-ნს ტურტელენს ტუჩების ლოკვა და კბნეტა უყვარსო.

— მე აქედგანვე ვხედავ თქვენს ქ-ნს ტურტელენსაო! — წამოიძახებს განყოფილების უფროსი: — ვინ იცის, სულ იმის ფიქრშია, რომ როგორმე მოატყუოს და ყინულზე გაასრიალოს თავისი ქმარი. რატომ არშიყად არ გაუხდებით?

დაიწყეს თავის მოყრა დანარჩენთა მოხელეთაც. ყველანი ყურადღებით ისმენენ დე-ბრეტვილის ლაპარაკს და დიდი ბაასი აქვსთ ქ-ნს ტურტელენზედ. მთელს განყოფილებას ნარდის თამაშობისა და ფრჩხილების ჭრის მეტი სხვა საქმე არა აქვს-რა.

როგორც ვხედავს მკითხველი, ამ რომანში მშვენიერი სურათია აწერილი, სურათი, რომელსაც, ჩვენის აზრით, მარტო საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსათვის არა აქვს მნიშვნელობა.

◆◆

# დეპეშა

27 ოქტომბერი

**ხარკოვი.** დღეს იმედი აქვსთ საიმპერატორო მატარებლის დამსხვრევის ადგილი ჰნახონ და დაათვალიერონ აგრეთვე იქ დარჩენილი მასალა მატარებლისა, მთლად გადარჩენილი და დამსხვრეული, შემდეგ ექსპერტები წარმოადგენენ თავიანთ აზრს. სულ 12 ექსპერტია. მეორე მარცხენა გზა გაწმინდეს და ზედ მისვლა-მოსვლა გაიმართა.

ბარონ შერნვალი თანდათან უკეთ შეიქმნა; ალარაფრით არ გასძნელებია სატკივარი.

**პარიჟი.** კონსტიტუციის გადასინჯვის გამო დანიშნულმა კომისიამ ხმის უმრავლესობით გადასწყვიტა, რომ კონსტიტუცია უნდა გადასინჯოს ცალკე მოწოდებულმა დამფუძნებილმა კრებამაო.

**ნიუ-იორკი.** გუშინდელს საპრეზიდენტო არჩევანებზედ რესპუბლიკელებმა 20 შტატში გაიმარჯვეს; დემოკრატებმა კი — 18-ში.

პეტერბურგის ბირჟა, 25 ოქტომ.

| | მყიდველთა. | გამყიდველთა. | გაყიდულთა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 68 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 153 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1 17 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | 269¼ | — „ | — „ |
| — მეორისა . . . . . . | — „ | — „ | 242 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი — უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი — მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია — 25.

ღვინობისთვე 31 დღით არის

28 დღე პარასკევი. მოწ. სტეფანესი და პარასკევასი. კათოლ. მოციქ. სიმონისა, იუდასი და თევდორესი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-5 რიცხვი თვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—42, ჩადის 4—46. მთვარე 6 დღისაა.

29 დღე შაბათი. მოწ. ანასტასიასი. კათოლ. ფელიციანისა. სომეხ. იოანე ოქროპირისა. მაჰმად. მე-6 რიცხვი თვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—43, ჩადის 4—45. მთვარე 7 დღისაა.

30 დღე კვირა. მოწ. ზინოვიასი, იუსტისა, არტემისა და სხ. კათოლ. ზინოვიასი. სომეხ. ქერწინებათა ნება ეძლევათ. მაჰმად. მე-7 რიცხვი თვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—45, ჩადის 4—44. მთვარე 8 დღისაა.

31 დღე ორშაბათი. წმ. სპირიდონისა და მავრისა. კათოლ. ვოლფგანგისა. სომეხ. რომის პატრიარქის სტეფანესი. მაჰმად. მე-8 რიცხვი თვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—46, ჩადის 4—45. მთვარე 9 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ, შაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზითე ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულ. კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## მ-მოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | **სამტრედია**. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 02 | 1 | 17 | **რიონი** . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 03 | **ყვირილა**. . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი**. | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი. . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი. . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |


# დედა-ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი — თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა, — ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა, — სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.

ნამდვილი საუნჯეა

ყველასთვის განთქმული წიგნი

თავის მცველი

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—44)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | „ | 35 |
| ვაზის ობი. . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ | 5 |


Доз. ценз. Тифлисъ, 27-го Октября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე